ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13

(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი 13 მაისი 2015 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში „შემსყიდველი", მისი დირექტორის გელა დუნდუას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ელ–დე-მარი"მისი დირექტორის თეონა ჯიბლაძეს სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შეყიდვის საშუალებით, თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5 000 ლარს.

,,შემსყიდველი'', ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი 2015 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,მიმწოდებელი'' მიაწოდებს სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონელს (შემდეგში ,,საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, შესყიდვის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სამეურნეო საქონელი
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია –44500000-ხელსაწყოები,საკეტები,გასაღებები,ანჯამები,დამჭერები ჯაჭვები და ზამბარები/რესორები/

კლასიფიკატორის (CPV) კოდი 44511100-ნიჩბები და აქანდაზები
44511200-ფიწლები
44511300-თოხი წერაქვი,საჩეხები,ფოცხები
44511400-ნაჯახები
44511500-ხელის ხერხი
44511510-ხელის ხერხის პირები
44512100-საჭრისები
44512200-ბრტყელტუჩა
44512700 -ქლიბები.ჭოპოსნები
44512800-სახრახნისები
44512900-ბურღები,სახრახნისის პირები და სხვა აქსესუარები
44514100-ხელსაწყოების ტარები
44512100-სხვადასხვა სახის ბოქლომები და საკეტები
4454000-ჯაჭვი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4200(ოთხი ათას ორასი)** ლარს , საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად (ეტაპობრივი მიწოდება), მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორი.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, სამი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის	შპს "ელ-დე-მარი"
სასაფლაოების მოვლა–პატრონობის	სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი
ცენტრი:	ბ/კ BAGAGE22 ს/კ 415093687
ს/კ 415092919	ა/ა GE64BG0000000906007400
სახელმწიფო ხაზინა	
ქ.ფოთი ჭანტურიას N2	ქ.ფოთი ჭანტურიას N11
დირექტორი:	დირექტორი:
გელა დუნდუა	თეონა ჯიბლაძე

ფასების ცხრილი

NN	საქონლის დასახელება	რაო-ბა (ცალი)	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ადგილი და ვადები
1	ნიჩბები	30	10	300	ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი
2	ფიწლები	15	18	270	
3	თოხი	30	9	270	
4	წერაქვი	10	20	200	
5	ფოცხი	40	12	480	
6	ნაჯახი	20	18	360	
7	ხელის ხერხი	10	10	100	
8	ხელის ხერხის პირები	15	5	75	
9	საჭრისები	10	10	100	
10	ბრტყელტუჩა	10	5	50	
11	ჩაქუჩი	20	12	240	
12	ქლიბები	10	10	100	
13	სახრახნისი(კომ)	4	25	100	
14	ბურღები	5	11	55	
15	ბოქლომები	20	5	100	
16	ბოქლომები	20	10	200	
17	საკეტები	10	28	280	
18	ჯაჭვი	10	8	80	
19	ბარი	40	10	400	
20	ჩაქუჩები(ურო)	8	25	200	
21	ჯაგრისი ხელის	40	2	80	
22	ლომი	8	20	160	
	სულ:			4200	

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
სასაფლაოების მოვლა–პატრონობის
ცენტრის დირექტორი:

გელა დუნდუა

„მიმწოდებელი“
შპს“ელ–დე-მარი“-ს

დირექტორი:

თეონა ჯიბლაძე